

ზინცენი



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-14/1722

ქ. თბილისი

16 07 2018 წ.

დისერტაციის დაცვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 26-ე მუხლის; სტუ-ის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს 2018 წლის 8 ივნისის (ოქმი №13) გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაინიშნოს დოქტორანტ მერი გაბაიძის (პირადი №61001065756), რომელსაც არა აქვს აკადემიური და ფინანსური დავალიანება, დისერტაციის დაცვა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე. სადოქტორო პროგრამა – „ბიზნესის ადმინისტრირება“, სადისერტაციო თემა – „რეგიონული ინტეგრაციის არსებული მდგომარეობა და მისი გავლენა ბიზნესის განვითარებაზე“.

სადისერტაციო კოლეგია:

- პროფესორი ევგენი ბარათაშვილი (სტუ, თავმჯდომარე);
- პროფესორი ანზორ აბრალავა (სტუ, ხელმძღვანელი);
- ასოცირებული პროფესორი თამარ როსტიაშვილი (სტუ, რეცენზენტი);
- ასოცირებული პროფესორი ბადრი გეგუაია (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რეცენზენტი);
- ასოცირებული პროფესორი მაია ჩეჩელაშვილი (სტუ);
- ასოცირებული პროფესორი ლია ბერიკაშვილი (სტუ);
- ასოცირებული პროფესორი მაია სოსელია (სტუ);
- ასოცირებული პროფესორი ქეთევან ჭიკაბრიშვილი (დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, მოწვეული წევრი);
- ასოცირებული პროფესორი ჯანდრი ზარანდია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული წევრი).

2. დისერტაციის დაცვა შედგეს 2018 წლის 21 ივლისი, 15⁰⁰ საათზე, სტუ-ის VI კორპუსის 107^ა აუდიტორიაში.

რექტორი

არჩილ ფრანგიშვილი